აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 25 | 23 ოქტომბერი, 2018 წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ (09-01-08/68, 18.10.2018)

დასახელება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი	*აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე*
ავტორი	ინიციატორი

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

18.10.2018 წელი	წამყვანი კომიტეტი: 12.11.2018 წელი სხვა კომიტეტები: 6.11.2018 წელი	საშემოდგომო სესია
შემოსვლის თარიღი	საკომიტეტო მოსმენის ვადა	სხდომაზე განხილვის თარიღი

ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხთა კომიტეტი;
აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი;
განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საკითხთა კომიტეტი;
საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი;
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი;

კომიტეტი რომლის დასკვნა სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე **დავით გაბაიძე**

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აპარატი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

22/10/2018
N 2554

2554-09-02-11-3-201810221312

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი
საბჭოს აპარატის საორგანიზაციო და
საქმისწარმოების დეპარტამენტის
უფროსს ბატონ გიორგი ბერიძეს

დ ა ს კ ვ ნ ა

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის თაობაზე
(N68, 18.10.2018 წ. ინიციატორი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-80 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის მიერ განხილულ იქნა ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი.

წარმოდგენილი კანონის პროექტი შეესაბამება ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-18 მუხლითა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 79-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

პატივისცემით,

ვაჟა ცეცხლაძე

დეპარტამენტის უფროსი

იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
CHAIRMAN OF GOVERNMENT

№ 1308/02

"18" 10 2018

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს
ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტს, თანდართული მასალებით.

გთხოვთ, განიხილოთ.

09-01-08/68
18-10-2018
43

დანართი: „ 42 " ფურცელზე.

პატივისცემით,

თორნიკე რიჟვაძე

09-02-151940
1 42
18 10 2018

6010 ქ. ბათუმი კ. გამსახურდიას 10
ტელ.: (422) 272070
administration@ajara.gov.ge

6010 Batumi, Georgia. 10. Gamsakhurdia str.
Phone: +995 (422) 272070
administration@ajara.gov.ge

საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 200

2018 წლის 18 ოქტომბერი ქ. ბათუმი

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენის შესახებ

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარედგინოს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი.

2. ბრძანების 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული კანონის პროექტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში განხილვისას მომხსენებლად დაინიშნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი (ო. დიასამიძე).

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე

№ 1

განმარტებითი ბარათი

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს პარლამენტის მიერ 2017 წლის 13 ოქტომბერს მიღებულ იქნა საქართველოს კონსტიტუციური კანონი ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“, ასევე, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციური კანონით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში 2018 წლის 4 მაისს განხორციელდა რიგი ცვლილებები. აღნიშნულის შედეგად, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მოქმედ რედაქციაში წარმოიქმნა მნიშვნელოვანი ხარვეზები, როგორც შინაარსობრივი, ისე ტექნიკური თვალსაზრისით. შესაბამისად, მიზანშეწონილია კანონში წარმოქმნილი შეუთავსებლობების აღმოფხვრა და დადგენილ ახალ რეგულაციებთან მისი შესაბამისობაში მოყვანა.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მიღების მიზანია საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობა და წარმოქმნილი კოლიზიების, ხარვეზების აღმოფხვრა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

დასამტკიცებელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი სრულად ანაცვლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედ ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონს. კანონის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი შედგება **პრეამბულის, 11 თავისა და 44 მუხლისაგან.**

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის **პრეამბულა** ჩამოყალიბებულია ძველი რედაქციით და აღნიშნულია, რომ ეს კანონი განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურას, უფლებამოსილებას, მისი საქმიანობის წესსა და მთავრობის ურთიერთობას საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან.

თავი I – ზოგადი დებულებები

<u>მოიცავს:</u>

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის (შემდგომში მთავრობის) სტატუსის განსაზღვრას;
- მთავრობის შემადგენლობას;

- შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების ან შეუთავსებელი საქმიანობის აკრძალვის წესს;
- სამართლებრივ აქტებს, რომლის საფუძველზე მთავრობა ახორციელებს თავის უფლებამოსილებას;
- მთავრობის სტრუქტურას;
- მთავრობის ანგარიშვალდებულების საკითხს.

<u>სიახლე:</u>

✓ მთავრობის, გარდა საქართველოს პრეზიდენტისა და უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებულებისა, საქართველოს მთავრობის წინაშე ანგარიშვალდებულებაც;

✓ საქვეუწყებო დაწესებულებების სამინისტროების მმართველობის სფეროში გადაყვანა.

თავი II – მთავრობის ფორმირების წესი

<u>მოიცავს:</u>

- მთავრობის დამტკიცების წესს;
- უმაღლესი საბჭოს მიერ მთავრობის მიმართ უნდობლობის გამოცხადების საკითხს.

<u>სიახლე:</u>

✓ მთავრობის დამტკიცების წესის ცვლილება, რომლის შესაბამისად, ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობიდან ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტიდან 2 კვირის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი უმაღლეს საბჭოში წარდგენილ პოლიტიკურ სუბიექტებთან კონსულტაციის შემდეგ უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას და მთავრობის თავმჯდომარეობის კანდიდატის მიერ დასახელებული მინისტრების კანდიდატურებს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დამტკიცებას კენჭი ეყრება ერთიანად. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

✓ თუ უმაღლესი საბჭო ზედიზედ ორჯერ არ დაამტკიცებს მთავრობას, პრეზიდენტი დამოუკიდებლად ვერ დაითხოვს უმაღლეს საბჭოს და საჭიროებს პარლამენტის თანხმობას;

✓ მთავრობის უნდობლობის საკითხის სრულიად ახალი რედაქციით წარმოდგენა. კერძოდ, მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების მოქმედი კონსტიტუციით დადგენილი ორი მესამედის კვორუმის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობამდე დაყვანა. უნდობლობის საკითხის აღძვრის შემდეგ მთავრობისათვის უნდობლობის არგამოცხადებისას, უმაღლესი საბჭოს იმავე წევრთა მიერ მომდევნო 6 თვის განმავლობაში უნდობლობის საკითხის აღძვრის დაუშვებლობა.

- ✓ ამოღებული იქნა ნორმა, რომლის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ვალდებული იყო წარმოედგინა არგუმენტირებული დასაბუთება საქართველოს პრეზიდენტის მიერ უმაღლეს საბჭოში წარდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურის დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ.

თავი III - მთავრობის კომპეტენცია

<u>მოიცავს:</u>

- მთავრობის კომპეტენციის საკითხს;
- მთავრობის სამართლებრივი აქტებს;
- მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს.

<u>სიახლე:</u>

- ✓ მთავრობას დაემატა შემდეგი უფლებამოსილებები: აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში თანამდებობათა სარგოების დამტკიცება, ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოვლა-პატრონობის, ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცით - ტერიტორიული დაგეგმვის, მშენებლობისა და ურბანული განვითარებას ხელშეწყობა; ახორციელებს ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი და სპორტული დაწესებულებების შექმნას, მართვასა და მხარდაჭერას;
- ✓ ამოღებულ იქნა ნორმები, რომელიც უკავშირდებოდა: მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით კანონპროექტების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში წარდგენას, ბიბლიოთეკების მოვლა-პატრონობასა და სურსათისა და სხვა საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე.
- ✓ მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძვლები ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით. მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტის ერთ-ერთ საფუძვლად დაემატა უმაღლესი საბჭოს დათხოვნის შემთხვევა, ასევე, ამოღებულ იქნა ნორმა, რომელიც უკავშირებოდა მთავრობის გადადგომას, როგორც უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველს.

თავი IV - მთავრობის ხელმძღვანელობა

<u>მოიცავს:</u>

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის (შემდგომში მთავრობის თავმჯდომარე) სტატუსს;
- მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილებებს;
- ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის წესს;
- მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს;
- მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის მინისტრზე დაკისრების წესს;
- თანამდებობის პირის (ორგანოს) უფლებამოსილების ვადით დანიშვნის საკითხს.

<u>სიახლე:</u>

- ✓ საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელების თანამდებობაზე დანიშვნის წესი;
- ✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ანგარიშ-ვალდებულება წელიწადში ერთხელ უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს მთავრობის საქმიანობის შესახებ ანგარიში.
- ✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრების კანდიდატების საქართველოს შესაბამისი სამინისტროს მინისტრთან შეთანხმების პროცედურის გაუქმება;
- ✓ მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხების ახლებურად ჩამოყალიბება.
- ✓ მთავრობის თავმჯდომარის გადადგომის შემთხვევაში, უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხი, კერძოდ, მთავრობის თავმჯდომარე თანამდებობიდან გადამდგარად ითვლება ამის თაობაზე საჯაროდ განცხადების ან საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის წერილობითი განცხადებით მიმართვის მომენტიდან.
- ✓ მთავრობის თავმჯდომარის მიერ შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების შემთხვევაში, მთავრობის თავმჯდომარეს უფლებამოსილება შეუწყდება თანამ-დებობრივი შეუთავსებლობის ფაქტის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების მიღებისთანავე.

თავი V - მთავრობის საქმიანობის ორგანიზება

<u>მოიცავს:</u>

- მთავრობის სხდომების გამართვისა და გადაწყვეტილების მიღების წესს;
- მთავრობის აპარატის სტატუსს;
- მთავრობის აპარატის უფროსის უფლებამოსილებებს.

თავი VI - მთავრობის სათათბირო ორგანოები

<u>მოიცავს:</u>

- მთავრობის სათათბირო ორგანოების შექმნისა და მუშაობის წესს.

<u>სიახლე:</u>

- მოქმედი რედაქციის განსხვავებით, წარმოდგენილი კანონის პროექტით, გარდა, სათათბირო ორგანოების - კომისიებისა და საბჭოებისა, გარკვეული საკითხის შესწავლის მიზნით შეიძლება შეიქმნას სამუშაო ჯგუფები.

თავი VII - სამინისტრო

<u>მოიცავს:</u>

- სამინისტროს სტასუსს;
- სამინისტროების დასახელებას;
- სამინისტროს ანგარიშვალდებულების საკითხს;

- საინისტროების მიერ გადაწყვეტილების მიღების წესს;
- სამინისტროს დებულების შესახებ ინფორმაციას;
- მინისტრის უფლებამოსილებებს;
- მინისტრის მიერ ბრძანების გამოცემის წესს;
- მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტას;
- მინისტრის მოადგილეების შესახებ ინფორმაციას;
- სამინიტროს ტერიტორიულ ორგანოებს.

<u>სიახლე:</u>

✓ ამოღებული იქნა ნორმა, რომელიც ეხებოდა სამინისტროს ანგარიშვალდებულების საკითხს საქართველოს შესაბამისი სამთავრობო დაწესებულების მიმართ;

✓ დაემატა შემდეგი ნორმა: თუ სამინისტროს გამგებლობის სფეროსთვის მიკუთვნებული საკითხი ეხება აგრეთვე სხვა სამინისტროს, მინისტრი გადაწყვეტილებას ათანხმებს შესაბამის მინისტრთან. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება მთავრობის სხდომაზე;

✓ ამოღებული იქნა ნორმები, რომელიც ეხებოდა სამინისტროს სათათბირო ორგანოების მუშაოების წესს და აღნიშნული საკითხი დარეგულირდება მათი საქმიანობის წესის შესაბამისად.

თავი VIII - საქვეუწყებო დაწესებულებები

<u>მოიცავს:</u>

- საქვეუწყებო დაწებულების სტატუსს;
- საქვეუწყებო დაწებულების შექმნის წესს;
- საქვეუწყებო დაწებულების დებულების დამტკიცების საკითხს;

<u>სიახლე:</u>

✓ საქვეუწყებო დაწესებულები მთლიანად დაექვემდებარა სამინისტროების გამგებლობას და ისინი აღარ იქნებიან მთავრობის შემადგებლობაში;

✓ ამოღებულ იქნა საქვეუწყებო დაწესებულებების ტერიტორიული ორგანოების ხელმძღვანელების დანიშვნის წესი.

თავი IX - სამსახურებრივი ზედამხედველობა

<u>მოიცავს:</u>

- სამსახურებრივი ზედამხედველობის მიზანს;
- სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელ პირებს;
- სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელების წესს ზოგადად;
- მინისტრის მიერ სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელების წესს;
- თანამდებობის პირის აქტის ან მოქმედების ძალადაკარგულად გამოცხადებას, მიზანშეუწონლობის მოტივით;

<u>სიახლე:</u>

✓ მინისტრის უფლებამოსილება გააუქმოს მოადგილეების სამართლებრივი აქტები და მოქმედებები;

- ✓ დაემატა შემდეგი ნორმა: მიზანშეუწონლობის მოტივით არ შეიძლება ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ან მოქმედება, რომელიც გამოცემულია ან შესრულებულია საჯარო სამსახურის ორგანიზებისას, აგრეთვე სხვა აქტი ან მოქმედება, რომლის გამოცემის ან შესრულების პირობები გამომდინარეობს კანონიდან ან სხვა სამართლებრივი აქტებიდან.

თავი X - ურთიერთობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან

<u>აღნიშნული თავი მთლიანად წარმოადგენს სიახლეს და მოიცავს:</u>

- ✓ უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვის წესს;
- ✓ ინტერპელაციის წესით დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებულ საკითხებს;
- ✓ მთავრობის ყოველწლიური ანგარიშის წარდგენის წესს;
- ✓ მინისტრის საათის გამართვის წესს;
- ✓ მთავრობის წევრის მოსმენის საკითხს;
- ✓ უმაღლესი საბჭოსათვის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულების შეთანხმების წესს;
- ✓ რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის წარდგენას;
- ✓ ბიუჯეტის შესრულების კვარტალური და წლიური ანგარიშის წარდგენას.

თავი XI- გარდამავალი და დასკნითი დებულებანი

- ჩამოყალიბებულია კანონის ძალაში შესვლასთან დაკავშირებული საკით-ხები;

- დარეგულირდა მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებების სამინისტროებზე დაქვემდებარების საკითხი შემდეგნაირად:

  საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი დაექვემდებარება ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს;

  ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი დაექვემდებარება ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს;

  გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო დაექვემდებარება სოფლის მეურნეობის სამინისტროს;

  საარქივო სამმართველო დაექვემდებარება განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება ახალ ხარჯებს არ გამოიწვევს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის გაზრდას, ხოლო წარმოქმნილი ცვლილებები გათვალისწინებული იქნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2019 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:
კანონპროექტის მიღება არ წარმოქმნის სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):
კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის დადგენას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:
კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში:
აღნიშნული კანონპროექტის მომზადებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ:
ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი:
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

პროექტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
კ ა ნ ო ნ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურას, უფლებამოსილებას, მისი საქმიანობის წესსა და მთავრობის ურთიერთობას საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან.

თ ა ვ ი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა (შემდგომში - მთავრობა) არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლებას და განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფ-ლების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.

2. მთავრობა შედის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში.

3. მთავრობა შედგება მთავრობის თავმჯდომარისა და მინისტრებისაგან. მთავრობის წევრს უფლება არა აქვს ეკავოს სხვა თანამდებობა, გარდა პარტიულისა, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ანაზღაურებას სხვა საქმიანობისათვის, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური ან სახელოვნებო საქმიანობისა.

მუხლი 2.

1. მთავრობა თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის, საქართველოს კანონების, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, ამ კანონისა და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

2. მთავრობა უფლებამოსილია გადაწყვიტოს აჭარის ავტონომიური რეს-პუბლიკის გამგებლობას მიკუთვნებული ყველა ის საკითხი, რომელიც ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად არ შედის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციაში.

მუხლი 3.

1. მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას უზრუნველყოფს სამინისტროებისა და მათი მმართველობის სფეროში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულებების მეშვეობით.

2. დაუშვებელია მთავრობის შემადგენლობაში ამ კანონით გათვალისწინებულის გარდა სხვა რაიმე სტრუქტურის/ორგანოს შექმნა ან არსებობა.

3. მთავრობა ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინაშე.

თ ა ვ ი II
მთავრობის ფორმირების წესი

მუხლი 4.

1. ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობიდან ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტიდან 2 კვირის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილ პოლიტიკურ სუბიექტებთან კონსულტაციის შემდეგ უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას და მთავრობის თავმჯდომარეობის კანდიდატის მიერ დასახელებულ მინისტრების კანდიდატურებ. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დამტკიცებას კენჭი ეყრება ერთიანად. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

2. თუ უმაღლესი საბჭო 2 კვირის ვადაში არ დაამტკიცებს მთავრობას, საქართველოს პრეზიდენტი 2 კვირის ვადაში უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს მთავრობის იგივე ან სხვა შემადგენლობას, რომლის დამტკიცებასაც კენჭი ეყრება 2 კვირის ვადაში.

3. თუ უმაღლესი საბჭო ზედიზედ ორჯერ არ დაამტკიცებს მთავრობას, საქართველოს პრეზიდენტი პარლამენტის თანხმობით დაითხოვს უმაღლეს საბჭოს და დანიშნავს უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე არჩევნებს.

მუხლი 5.

1. უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს მთავრობას.

2. უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრის უფლება აქვს უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.

3. უმაღლესი საბჭოს მიერ მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრიდან არა უადრეს 7 და არა უგვიანეს 21 დღისა უმაღლესი საბჭო სრული შემადგენლობის უმრავლესობით უნდობლობას უცხადებს მთავრობას.

4. თუ უმაღლესი საბჭო უნდობლობის საკითხის აღძვრის შემდეგ არ გამოუცხადებს მთავრობას უნდობლობას, დაუშვებელია უმაღლესი საბჭოს იმავე წევრთა მიერ მომდევნო 6 თვის განმავლობაში უნდობლობის საკითხის აღძვრა.

თ ა ვ ი III
მთავრობის კომპეტენცია

მუხლი 6.

1. მთავრობა საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებისა და კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში:

ა) კოორდინაციასა და კონტროლს უწევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების საქმიანობას;

ბ) ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების, საქვეუწყებო დაწესებულებების დებულებებს;

გ) ამტკიცებს მთავრობის აპარატის დებულებას, სტრუქტურასა და საშტატო ნუსხას;

დ) ქმნის მთავრობის სათათბირო ორგანოებს და ამტკიცებს მათ დებულებებს;

ე) უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის აქტი;

ვ) შეიმუშავებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტს;

ზ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ უზრუნველყოფს მის შესრულებას და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს სამ თვეში ერთხელ წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ ანგარიშს;

თ) ქმნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამტკიცებს მათ დებულებებს, თანამდებობაზე ნიშნავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელებს.

ი) კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, ამტკიცებს აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებებში თანამდებობათა სარგოებს;

კ) ხელს უწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამეწარმეო-ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლებას, კონკურენტუნარიანი და სტაბილური საინვესტიციო გარემოს ფორმირებას;

ლ) ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვას;

მ) ახორციელებს ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საგანმანათლებლო, სამეცნიერო, შემოქმედებითი და სპორტული დაწესებულებების შექმნას, მართვასა და მხარდაჭერას;

ნ) მონაწილეობას ღებულობს ეკონომიკური, სოციალური, ჯანმრთელობის დაცვის საკითხების გადაწყვეტაში, უზრუნველყოფს მოქალაქეთა სოციალური დაცვის ღონისძიებების განხორციელებას;

ო) უზრუნველყოფს ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მართვას;

პ) უზრუნველყოფს ავტონომიური რესპუბლიკის სივრცით - ტერიტორიულ დაგეგმვას, ხელ უწყობს მშენებლობასა და ურბანულ განვითარებას;

ჟ) ქმნის სათანადო პირობებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტურიზმისა და სპორტის განვითარებისათვის;

რ) უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის მართვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

ს) უზრუნველყოფს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სფეროში კანონმდებლობით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელებას;

ტ) ახორციელებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საარქივო სამსახურის მართვას;

უ) ახორციელებს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. მთავრობა როგორც უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება იმ საკითხზე, რომელიც დაკავშირებულია აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებასთან და არ წარმოადგენს სხვა დაწესებულების უფლებამოსილებას.

მუხლი 7.

1. მთავრობის სამართლებრივი აქტებია დადგენილება და განკარგულება.

2. მთავრობის დადგენილება არის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, ხოლო განკარგულება ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი. მთავრობის ნორმატიული აქტის მომზადების, მიღება-გამოცემისა და ძალაში შესვლის წესი განისაზღვრება ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით.

3. მთავრობის სამართლებრივი აქტების შესრულება სავალდებულოა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

4. მთავრობის სამართლებრივ აქტებს ხელს აწერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

მუხლი 8.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უფლებამოსილება უწყდება:

ა) ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისთანავე;

ბ) უმაღლესი საბჭოს მიერ უნდობლობის გამოცხადებისას;

გ) მთავრობის თავმჯდომარის გადადგომისას ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტისას;

დ) უმაღლესი საბჭოს დათხოვნისას .

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მთავრობა ახორციელებს თავის უფლებამოსილებებს მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მთავრობის უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული დროებითი სახელმწიფო საბჭო.

თ ა ვ ი IV
მთავრობის ხელმძღვანელობა

მუხლი 9.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირი და წარმოადგენს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას, განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის მიმართულებებს, ორგანიზებას უწევს მთავრობის საქმიანობას;

ბ) კანონმდებლობით დადგენილი წესით ნიშნავს და ათავისუფლებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებს;

გ) საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონებას;

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტს;

ე) ახორციელებს მინისტრების საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს;

ვ) იწვევს და ხელმძღვანელობს მთავრობის სხდომებს, ხელს აწერს მთავრობის სამართლებრივ აქტებს;

ზ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს – ბრძანებას, ასრულებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს მთავრობის შენობაში;

თ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს შესაბამისი მინისტრის წარდგინებით საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელებს – არა უმეტეს მინისტრის უფლებამოსილების ვადით და მათ მოადგილეებს არა უმეტეს საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელების უფლებამოსილების ვადით.

ი) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სხვა თანამდებობის პირებს;

კ) უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის სამართლებრივი აქტი;

ლ) ახორციელებს საკანონმდებლო ინიციატივას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში;

მ) ხელს აწერს და აქვეყნებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებს, გარდა კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონისა;

ნ) კოორდინაციას უწევს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მთავრობის ურთიერთობას;

ო) კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებებს მთავრობის აპარატის მოხელეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შეფარდების შესახებ;

პ) ახორციელებს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 10.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობისათვის საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინაშე.

მუხლი 11.

1. მთავრობის თავმჯდომარეს უფლებამოსილება უწყდება:

ა) გადადგომისას;

ბ) გარდაცვალებისას;

გ) მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტისას;

ე) კანონით შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების ან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელებისას;

ვ) საარჩევნო უფლების დაკარგვისას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მთავრობის თავმჯდომარე თანამდებობიდან გადამდგარად ითვლება, ამის თაობაზე საჯაროდ განცხადების ან საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს მთავრობისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსათვის წერილობითი განცხადებით მიმართვის მომენტიდან.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილება შეწყვეტილად ითვლება შესაბამისი ფაქტის დადგომისთანავე, „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილება შეწყვეტილად ითვლება შესაბამისი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან, „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილება შეწყვეტილად ითვლება თანამდებობრივი შეუთავსებლობის ფაქტის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების მიღებისთანავე.

მუხლი 12.

1. მთავრობის თავმჯდომარის დროებით არყოფნისას მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი მინისტრი მთავრობის თავმჯდომარის დავალებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს უფლება არა აქვს:

ა) თანამდებობიდან გაათავისუფლოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი და საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელი;

ბ) განკარგოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონება.

3. მთავრობის თავმჯდომარის გადადგომის შემთხვევაში მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილებას ახალი მთავრობის დამტკიცებამდე ასრულებს ერთ-ერთი მინისტრი მთავრობის თავმჯდომარის დავალებით.

მუხლი 13

1. ის პირები, რომლებიც ამ კანონის შესაბამისად დანიშნული არიან არა უმეტეს თანამდებობის პირის (ორგანოს) უფლებამოსილების ვადით/ან განსაზღვრული ვადით, თანამდებობის პირის (ორგანოს) უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში თავიანთ მოვალეობას ასრულებენ ახალი თანამდებობის პირის (ორგანოს) დანიშვნამდე (დამტკიცებამდე).

2. მთავრობის თავმჯდომარე/მთავრობა უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით, ან ხელმძღვანელის/კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს ხელმძღვანელის ინიციატივით გაათავისუფლოს თანამდებობიდან ამ კანონის თანახმად უფლებამოსილების ვადით/ან განსაზღვრული ვადით დანიშნული პირი.

თ ა ვ ი V
მთავრობის საქმიანობის ორგანიზება

მუხლი 14.

1. მთავრობა თავის საქმიანობას წარმართავს მთავრობის სხდომების მეშვეობით.

2. მთავრობის სხდომა ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც.

3. მთავრობის სხდომას იწვევს, ხელმძღვანელობს და მის დღის წესრიგს განსაზღვრავს მთავრობის თავმჯდომარე ან მისი დავალებით ერთ-ერთი მინისტრი.

4. მთავრობის სხდომაში მთავრობის თავმჯდომარე და მთავრობის წევრები მონაწილეობენ პირადად. თუ მთავრობის სხდომაზე მინისტრის დასწრება შეუძლებელია, იგი ამის შესახებ წინასწარ ატყობინებს მთავრობის თავმჯდომარეს. სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით მთავრობის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით შესაძლებელია სხვა პირების მოწვევაც.

5. მთავრობის სხდომა, როგორც წესი, დახურულია. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებით სხდომა შეიძლება გამოცხადდეს საჯაროდ.

6. მთავრობის მუშაობის, მთავრობის სხდომის მომზადების, წარმართვისა და სხდომაზე საკითხის განხილვის წესი განისაზღვრება მთავრობის რეგლამენტით, რომელსაც მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს მთავრობა.

7. მთავრობის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მთავრობის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მთავრობა გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

8. მთავრობის სხდომის გადაწყვეტილება ფორმდება მთავრობის დადგენილებით ან განკარგულებით, რომელსაც ხელს აწერს მთავრობის თავმჯდომარე.

მუხლი 15.

1. მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი, ანალიტიკური, ინფორმაციული და სხვა მასალების მომზადების, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებაზე კონტროლის მიზნით იქმნება მთავრობის აპარატი.

2. მთავრობის აპარატის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს მთავრობის თავმჯდომარე.

3. მთავრობის აპარატის მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის თავმჯდომარე – არა უმეტეს მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადით.

4. მთავრობის აპარატის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს აპარატის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას;

ბ) მთავრობის თავმჯდომარეს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებსა და აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ სხვა საჯარო მოსამსახურეებს;

გ) მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს მთავრობის აპარატის საჯარო მოხელეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შეფარდების შესახებ;

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს აპარატის მოსამსახურეთა საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას;

ე) სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს მთავრობის სხდომებში, ხელს აწერს მთავრობისა და მთავრობის თავმჯდომარის სამართლებრივი აქტების პროექტებს, აგრეთვე აპარატის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას;

ვ) სხვა სახელმწიფო ორგანოებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობაში გამოდის მთავრობის აპარატის სახელით;

ზ) ასრულებს მთავრობის აპარატის დებულებითა და მთავრობის თავმჯდომარის მიერ მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 16

მთავრობის აპარატის სტრუქტურა, უფლებამოსილება, საქმიანობის ორგანიზება და საშტატო ნუსხა ამ კანონის საფუძველზე განისაზღვრება მთავრობის სამართლებრივი აქტით.

თ ა ვ ი VI
მთავრობის სათათბირო ორგანოები

მუხლი 17.

1. მთავრობის თავმჯდომარეს, მთავრობას, მთავრობის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების შესწავლისა და მომზადების მიზნით შეუძლია შექმნას სათათბირო ორგანოები -კომისიები და საბჭოები. ასევე, გარკვეული საკითხის შესწავლის მიზნით შეიძლება შეიქმნას სამუშაო ჯგუფები.

2. სათათბირო ორგანოს ამოცანებს, აგრეთვე მისი დასკვნებისა და წინადადებების მომზადების წესს ამ ორგანოს შექმნისას განსაზღვრავს შესაბამისად მთავრობის თავმჯდომარე, მთავრობა.

3. სათათბირო ორგანოს უფლება აქვს სახელმწიფო დაწესებულებებისაგან მიიღოს თავისი მუშაობისათვის საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა მონაცემები.

4. სათათბირო ორგანოს მიერ მომზადებული დასკვნები და წინადადებები განსაზღვრულ ვადაში უნდა წარედგინოს შესაბამისად მთავრობის თავმჯდომარეს, მთავრობას, მთავრობის წევრს.

5. სახელმწიფო მოსამსახურე, საჯარო მოსამსახურე ან პირი, რომელიც სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე არ არის, სათათბირო ორგანოს წევრად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მისი თანხმობით.

თ ა ვ ი VII
სამინისტრო

მუხლი 18.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო (შემდგომში _ სამინისტრო) იქმნება ამ კანონის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მმართველობის უზრუნველსაყოფად.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებია:
ა) ფინანსთა და ეკონომიკის;
ბ) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის;
გ) განათლების, კულტურისა და სპორტის;
დ) სოფლის მეურნეობის.

მუხლი 19.

1. სამინისტრო ანგარიშვალდებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან მთავრობისა და მთავრობის თავმჯდომარის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.

2. სამინისტროს აქვს დებულება, დასრულებული ბალანსი და ანგარიში ხაზინაში, ხარჯთაღრიცხვა, ბეჭედი მცირე სახელმწიფო გერბისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოსახულებით.

3. სამინისტრო ეფუძნება ერთმმართველობის პრინციპს, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. სამინისტრო თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, საქართველოს კანონების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონების, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტებისა და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

5. სამინისტრო ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან. იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე.

მუხლი 20.

1. სამინისტროს მმართველობის სფერო განისაზღვრება სამინისტროს დებულებით.

2. თუ საკითხი მიეკუთვნება რამდენიმე სამინისტროს გამგებლობის სფეროს და განსაზღვრული არ არის მასზე გადაწყვეტილების მიმღები სამინისტრო, გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა.

3. საკითხზე, რომელიც კანონის შესაბამისად შედის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციაში, მაგრამ არ მიეკუთვნება არც ერთი სამინისტროს გამგებლობის სფეროს, გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა.

მუხლი 21.

1. სამინისტროს დებულებას შესაბამისი მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს მთავრობა.

2. სამინისტროს დებულება უნდა შეიცავდეს:

ა) სამინისტროს სრულ დასახელებას და იურიდიულ მისამართს;

ბ) სამინისტროს საქმიანობის სფეროს და ამოცანებს;

გ) სამინისტროს ხელმძღვანელობის ორგანიზებას, ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობას;

დ) სამინისტროს სისტემას, სტრუქტურას, სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითად ამოცანებსა და კომპეტენციას;

ე) სხვა არსებით საკითხებს სამინისტროს საქმიანობის ორგანიზების შესახებ.

მუხლი 22.

1. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი.

2. მინისტრი:

ა) ხელმძღვანელობს სამინისტროს, წარმართავს მის საქმიანობას და წყვეტს სამინისტროს გამგებლობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) პასუხისმგებელია საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებისა და კანონმდებლობის, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულე-ბისათვის;

გ) თვალყურს ადევნებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულებების, ტერიტორიული ორგანოებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულების მიმდინარეობას;

დ) ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა გადაწყვეტილებებსა და საქმიანობაზე;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროსა და მისი ტერიტორიული ორგანოების საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ საჯარო მოხელეებს, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ან შრომითი ხელშეკრულებით სამსახურში იღებს სხვა საჯარო მოსამსახურეებს;

ვ) მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს სამინისტროს წლიური ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის საკითხებზე და იღებს გადაწყვ-ეტილებას საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების შესახებ, პასუხისმ-გებელია ბიუჯეტის ზუსტად და მიზანშეწონილად შესრულებისათვის;

ზ) მონაწილეობს მთავრობის სხდომებში;

თ) ასრულებს მისთვის საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილე-ბებითა და განკარგულებებით, მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით და სამინისტ-როს დებულებით დაკისრებულ სხვა ამოცანებს.

3. მინისტრს უფლება აქვს თავის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების შესწავლისა და მომზადების მიზნით შექმნას სათათბირო ორგანოები - კომისიები და საბჭოები, განსაზღვროს მათი მოვალეობანი და საქმიანობის წესი.

4. თუ სამინისტროს გამგებლობის სფეროსათვის მიკუთვნებული საკითხი ეხება აგრეთვე სხვა სამინისტროს, მინისტრი გადაწყვეტილებას ათანხმებს შესაბამის

მინისტრთან. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხი განიხილება მთავრობის სხდომაზე.

5. მინისტრი პასუხისმგებელია სახელმწიფო ქონების დაცვისა და გამოყენებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 23.

1. მინისტრი საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებს.

2. მინისტრის ბრძანება შეიძლება იყოს როგორც ნორმატიული, ისე ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი. მინისტრის ნორმატიული აქტის მომზადების, მიღება-გამოცემისა და ძალაში შესვლის წესი განისაზღვრება ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით.

3. მინისტრი, რომელიც ხელს აწერს ბრძანებას, პასუხისმგებელია მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობისათვის.

4. მინისტრის ნორმატიული ხასიათის ბრძანება სავალდებულოა შესასრულებლად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, თუ ამ აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

5. თუ საკითხი ერთდროულად შედის რამდენიმე სამინისტროს გამგებლობის სფეროში, მათი შეთანხმებით შესაძლებელია ერთობლივი ბრძანების გამოცემა. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას ღებულობს მთავრობა.

მუხლი 24.

1. მინისტრს უფლებამოსილება უწყდება:

ა) გადადგომისას;

ბ) გარდაცვალებისას;

გ) მთავრობის თავმჯდომარის მიერ მისი თანამდებობიდან განთავისუფლების შემთხვევაში;

დ) მის მიმართ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლისას;

ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტისას;

ვ) კანონით შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების ან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელებისას;

ზ) საარჩევნო უფლების დაკარგვისას.

2. მინისტრი თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადებით მიმართავს მთავრობის თავმჯდომარეს. მინისტრის გადადგომის ან თანამდებობიდან გათავისუფლების შემთხვევაში მთავრობის თავმჯდომარე 2 კვირის ვადაში ნიშნავს მთავრობის წევრს.

მუხლი 25.

1. მინისტრს შეიძლება ჰყავდეს მოადგილეები, მათ შორის, ერთი პირველი მოადგილე. მინისტრის მოადგილეს შესაბამისი მინისტრის წარდგინებით თანამდე-

ბობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის თავმჯდომარე – არაუ მეტეს მინისტრის უფლებამოსილების ვადით.

2. მინისტრის მოადგილე კოორდინაციას უწევს სამინისტროს ცალკეული დარგობრივი სტრუქტურული ერთეულის (ერთეულების) საქმიანობას, ახორციელებს და კონტროლს უწევს მინისტრის ბრძანებების, მითითებებისა და სხვა დავალებების შესრულებას.

3. მინისტრის პირველი მოადგილე მინისტრის არყოფნისას ან მინისტრის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას, აგრეთვე მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში ასრულებს მინისტრის მოვალეობას.

4. მინისტრის უფლებამოსილების შეწყვეტისას მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს უფლებამოსილება უწყდებათ ახალი მინისტრის დანიშვნისთანავე.

მუხლი 26.

1. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შექმნის, გარდაქმნისა და საქმიანობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს მთავრობა.

2. სამინისტროს ტერიტორიული ორგანო წარმოადგენს ამ სამინისტროს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

3. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს მმართველობის სფერო, უფლებამოვალეობანი და საქმიანობის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრება ტერიტორიული ორგანოს დებულებით, რომელსაც ამტკიცებს მინისტრი.

4. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

თ ა ვ ი VIII
საქვეუწყებო დაწესებულებები

მუხლი 27.

1. საქვეუწყებო დაწესებულება წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროს გამგებლობაში არსებულ აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებას.

2. საქვეუწყებო დაწესებულება იქმნება, გარდაიქმნება და საქმიანობას წყვეტს ამ კანონის შესაბამისად, ან მთავრობის დადგენილებით.

მუხლი 28.

1. საქვეუწყებო დაწესებულება იქმნება სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობას მიკუთვნებულ სხვა სფეროებში სახელმწიფოებრივი ამოცანებისა და საჯარო ფუნქციების განსახორციელებლად.

2. საქვეუწყებო დაწესებულების დებულებასა და სტრუქტურას ამტკიცებს მთავრობა შესაბამისი მინისტრის წარდგინებით.

3. საქვეუწყებო დაწესებულება ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან.

მუხლი 29.

1. საქვეუწყებო დაწესებულების ტერიტორიული ორგანოს შექმნის, გარდაქმნისა და საქმიანობის შეწყვეტის გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა.

2. საქვეუწყებო დაწესებულების ტერიტორიული ორგანო წარმოადგენს ამ დაწესებულებას შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში.

3. საქვეუწყებო დაწესებულების ტერიტორიული ორგანოს დებულებასა და სტრუქტურას ამტკიცებს შესაბამისი მინისტრი.

თ ა ვ ი IX
სამსახურებრივი ზედამხედველობა

მუხლი 30.

1. სამსახურებრივი ზედამხედველობის მიზანია სამინისტროებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების საქმიანობის კანონიერების უზრუნველყოფა.

2. სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია:

ა) გასცეს წერილობითი მითითებები გამოცემულ აქტში ან შესრულებულ მოქმედებაში ნაკლოვანების აღმოფხვრის შესახებ;

ბ) შეაჩეროს აქტის აღსრულება ან მოქმედების შესრულება;

გ) ცნოს აქტი ძალადაკარგულად:

3. სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელებისას მთავრობის თავმჯდომარე, მინისტრები და საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელები გამოსცემენ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს.

4. სამსახურებრივი ზედამხედველობა ხორციელდება ქვემდებარეობის წესით.

5. სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია დაქვემდებარებული დაწესებულებებისაგან მოითხოვოს სამართლებრივი აქტები და სხვა დოკუმენტები, თანამდებობის პირებისაგან მიიღოს განმარტებები და დასკვნები. დაქვემდებარებული დაწესებულება ვალდებულია დოკუმენტები, განმარტებები და დასკვნები წარმოადგინოს არა უგვიანეს 7 სამუშაო დღისა, თუ სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი პირის მიერ სხვა ვადა არ არის დადგენილი.

6. მთავრობის თავმჯდომარე/მთავრობა უფლებამოსილია გააუქმოს მინისტრების ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები მათი კანონიერების ან მიზანშეუწონლობის მოტივით.

7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის ნორმატიული აქტი მისი კანონიერების ან მიზანშეუწონლობის მოტივით.

მუხლი 31.

1. მინისტრი ზედამხედველობს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საქვეუწყებო დაწესე-

ბულებებისა და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას. მინისტრი ძალადაკარგულად ცნობს მინისტრის პირველი მოადგილისა და მოადგილეების სამართლებრივ აქტებსა და მოქმედებებს, რომლებიც არ შეესაბამება კანონმდებლობას.

2. მინისტრი უფლებამოსილია ძალადაკარგულად ცნოს ამ მუხლში მითითებულ თანამდებობის პირთა/ხელმძღვანელთა აქტები და მოქმედებები მათი მიზანშეუწონლობის მოტივით.

3. მინისტრს უფლება აქვს სამინისტროს თანამდებობის პირების მოქმედებაზე სამსახურებრივი ზედამხედველობა დააკისროს მის პირველ მოადგილეს.

4. სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელ პირს უფლება აქვს გასცეს შესასრულებლად სავალდებულო მითითებები აქტის შეცვლის ან მოქმედებაში ნაკლოვანების აღმოფხვრის, ანდა ახალი მოქმედების შესრულების შესახებ.

მუხლი 32.

1. თანამდებობის პირის აქტი ან მოქმედება შეიძლება ცნობილ იქნეს ძალადაკარგულად მიზანშეუწონლობის მოტივით, თუ აქტი ან მოქმედება აშკარად არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს ან იწვევს სახელმწიფო ქონებისა და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ გამოყენებას, ან სხვა ხერხით ზიანს აყენებს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს.

2. მიზანშეუწონლობის მოტივით არ შეიძლება ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი ან მოქმედება, რომელიც გამოცემულია ან შესრულებულია საჯარო სამსახურის ორგანიზებისას, აგრეთვე სხვა აქტი ან მოქმედება, რომლის გამოცემის ან შესრულების პირობები გამომდინარეობს კანონიდან ან სხვა სამართლებრივი აქტებიდან.

3. მიზანშეუწონლობის მოტივით აქტის ან მოქმედების ძალადაკარგულად ცნობა უნდა იყოს დასაბუთებული.

მუხლი 33.

1. სამართლებრივი დავა სამინისტროებსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულებებს შორის წყდება ქვემდებარეობის წესით, თუ კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული დავის გადაწყვეტის სხვა წესი.

2. სამართლებრივ დავას სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის, აგრეთვე სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საქვეუწყებო დაწესებულებებს შორის წყვეტს მინისტრი.

3. სამართლებრივ დავას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იმ დაწესებულებებს შორის, რომლებიც მმართველობის სხვადასხვა სფეროში შედის, წყვეტენ დაინტერესებული მინისტრები. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა.

თავი X
ურთიერთობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოსთან

მუხლი 34.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, მთავრობის წევრი ვალდებულია უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვაზე გასცეს დროული და სრული პასუხი. წერილობითი პასუხი გაცემული უნდა იქნას კითხვის მიღებიდან 15 დღეში. შესაბამის პირს კითხვის ავტორთან შეთანხმებით კითხვაზე პასუხის გაცემის ვადა შეიძლება გაგრძელდეს 10 დღით.

2. უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვაზე პასუხს ხელს აწერს მთავრობის თავმჯდომარე ან მთავრობის შესაბამისი წევრი.

მუხლი 35.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, მთავრობის წევრი ვალდებულია უმაღლესი საბჭოს ფრაქციის, უმაღლესი საბჭოს წევრთა არანაკლებ სამკაციანი ჯგუფის ინტერპელაციის წესით დასმულ შეკითხვას უპასუხოს პირადად უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე, აგრეთვე შეკითხვაზე პასუხი წერილობითი ფორმით წარადგინოს უმაღლესი საბჭოს სხდომაზე. პასუხს ხელს აწერს მთავრობის თავმჯდომარე ან მთავრობის შესაბამისი წევრი.

3. ინტერპელაციის წესით შეკითხვის ადრესატი უმაღლეს საბჭოში წარსდგება როგორც წესი ყოველი მორიგი სესიის განმავლობაში პლენარული სხდომის დღეს და უპასუხებს იმ შეკითხვებს, რომლებიც მას გადაეცა აღნიშნულ დრომდე არა უგვიანეს 10 დღისა.

მუხლი 36.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ვალდებულია წელიწადში ერთხელ, საგაზაფხულო სესიის პლენარული სხდომების ბოლო თვეში უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს წერილობითი ანგარიში მთავრობის საქმიანობის შესახებ.

2. მთავრობის თავმჯდომარის ანგარიშის წარდგენის ზუსტ დროს განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს ბიურო მთავრობის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

მუხლი 37.

1. მთავრობის ცალკეული წევრი, გარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარისა, ვალდებულია წელიწადში არანაკლებ ერთხელ, უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე გააკეთოს მოხსენება შესაბამისი სამინისტროს საქმიანობის შესახებ (მინისტრის საათი). მოხსენება, ასევე, უნდა შეეხოს იმ საკითხებს, რომლებიც მინისტრის წინაშე იქნება დასმული.

2. მთავრობის შესაბამის წევრს უმაღლეს საბჭოში წარდგენამდე არა უგვიანეს 10 დღისა ეგზავნება კომიტეტების მიერ შედგენილი საკითხები, რომლის გარშემოც უნდა წარიმართოს მინისტრის საათი. მინისტრი უფლებამოსილია არ ისაუბროს ამ ვადის დაგვიანებით მიწოდებულ საკითხებზე.

მუხლი 38.

1. მთავრობის წევრი უფლებამოსილია უმაღლეს საბჭოს მიმართოს მოსმენის მიზნით.

2. მთავრობის წევრი ვალდებულია უმაღლესი საბჭოსადმი მიმართვამდე არა უგვიანეს 3 დღისა უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს წერილობით წარუდგინოს ის საკითხები, რომლებზედაც მას სურს უმაღლესი საბჭოსადმი მიმართვა.

მუხლი 39.

უმაღლეს საბჭოსთან ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შეთანხმების მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ყოველი წლის 15 ივნისამდე წარუდგენს მას ინფორმაციას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ.

მუხლი 40.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე არა უგვიანეს 1 ნოემბრისა უმაღლეს საბჭოს წარუდგენს რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტს კანონმდებლობით გათვალისწინებული თანდართული მასალებით (მათ შორის, მოხსენებას მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ) და რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონის პროექტის შესაბამისი პრიორიტეტების დოკუმენტს.

მუხლი 41.

1. ყოველი კვარტლის დასრულებიდან 1 თვის ვადაში მთავრობა უმაღლეს საბჭოს წარუდგენს რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ მიმოხილვას ნაზარდი ჯამით.

2. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშს მთავრობა უმაღლეს საბჭოს წარუდგენს საბიუჯეტო წლის დასრულებიდან არა უგვიანეს 3 თვისა.

მუხლი 42.

ამ თავთან დაკავშირებული სხვა საკითხები წესრიგდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტითა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

თ ა ვ ი XI
გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 43.

1. ამ კანონის ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი (ა.ა.რ.ს.მ. №11, 21.08.04).

2. კანონის ამოქმედებიდან 1 თვის ვადაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და სამინისტროებმა ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, უზრუნველყონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა ცვლილებებთან დაკავშირებული შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღება.

3. ამ კანონის ძალაში შესვლამდე მოქმედი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებები დაექვემდებარონ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებს საქვეუწყებო დაწესებულებებად შემდეგნაირად:

ა) საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი - ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს;

ბ) ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი - ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს;

გ) გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველო - სოფლის მეურნეობის სამინისტროს;

დ) საარქივო სამმართველო - განათლების კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სამინისტროების საქვეუწყებო დაწესებულებები წარმოადგენენ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებების უფლებამონაცვლე დაწესებულებებს.

მუხლი 44 .

1. ეს კანონი, გარდა 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

2. ამ კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე **თორნიკე რიჟვაძე**

ჩაქვი,
------ 2018 წ.
N----

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
კ ა ნ ო ნ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ

ეს კანონი განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურას, უფლებამოსილებას, მისი საქმიანობის წესსა და მთავრობის ურთიერთობას საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა სახელმწიფო ორგანოებთან.

თ ა ვ ი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა (შემდგომში _ მთავრობა) არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლებას და განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს. *(17. 09. 2008 წ. N309; გაზეთი "აჭარა" 20. 09. 2008 წელი N105)*

2. მთავრობა შედის საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა სისტემაში.

3. მთავრობა შედგება მთავრობის თავმჯდომარისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებისაგან.

მუხლი 2.

1. მთავრობა თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის, საქართველოს კანონების, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, ამ კანონისა და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

2. ამოღებულია. *(17. 09. 2008 წ. N309; გაზეთი "აჭარა" 20. 09. 2008 წელი N105)*

3. მთავრობა უფლებამოსილია გადაწყვიტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობას მიკუთვნებული ყველა ის საკითხი, რომელიც ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის თანახმად არ შედის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომპეტენციაში. *(21. 03. 2007 წ. N242; გაზეთი "აჭარა", 29. 03. 2007 წ. N49)*

მუხლი 3.

1. მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას უზრუნველყოფს სამინისტროებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების მეშვეობით.

2. დაუშვებელია მთავრობის შემადგენლობაში ამ კანონით გათვალისწინებულის გარდა სხვა რაიმე სტრუქტურის/ორგანოს შექმნა ან არსებობა.

მუხლი 4.

მთავრობა ანგარიშვალდებულია საქართველოს პრეზიდენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინაშე.

თ ა ვ ი II
მთავრობის ფორმირების წესი

მუხლი 5.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობიდან 10 დღის ვადაში საქართველოს პრეზიდენტი უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილ პოლიტიკურ სუბიექტებთან კონსულტაციის შემდეგ, საქართველოს მთავრობის წინასწარი თანხმობით, უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე დამტკიცებულად ითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. *(22.08.2012 N 178 - უ.ს.რ.ს. ამოქმედდეს 2013 წლის ოქტომბრის მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არჩეული საქართველოს პრეზიდენტის მიერ ფიცის დადების მომენტიდან)*

2. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო არ დაამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილ მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურას, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია 10 დღის ვადაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინოს იგივე ან სხვა კანდიდატურა.

3. თუ უმაღლესმა საბჭომ ზედიზედ ორჯერ არ დაამტკიცა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურა, საქართველოს პრეზიდენტი უფლებამოსილია დაითხოვოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ვალდებულია წარმოადგინოს არგუმენტირებული დასაბუთება საქართველოს პრეზიდენტის მიერ უმაღლეს საბჭოში წარმოდგენილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის კანდიდატურის დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ.

მუხლი 6.

(17. 09. 2008 წ. N309; გაზეთი "აჭარა" 20. 09. 2008 წელი N105)

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, დამტკიცებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს შესაბამისი სამთავრობო დაწესებულების (დაწესებულებების) ხელმძღვანელთან (ხელმძღვანელებთან) შეთანხმების პრო-

ცედურის შემდეგ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს თანამდებობაზე დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა დამტკიცებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა, მაგრამ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთი მესამედისა.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია არ დაამტკიცოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა და იმავე გადაწყვეტილებაში დასვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ცალკეული წევრის აცილების საკითხი. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მიერ აცილების შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების გაზიარების შემთხვევაში, დაუშვებელია აცილებული პირის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის იმავე შემადგენლობაში დანიშვნა გათავისუფლებული ან გადამდგარი მთავრობის წევრის ნაცვლად.

3. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ არ დაამტკიცა მთავრობის შემადგენლობა, მთავრობის თავმჯდომარე ერთი კვირის ვადაში უმაღლეს საბჭოს წარუდგენს მთავრობის იმავე ან ახალ შემადგენლობას.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია უნდობლობა გამოუცხადოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას. უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრის უფლება აქვს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ ერთ მესამედს.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მთავრობისათვის უნდობლობის საკითხის აღძვრიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ორი მესამედით უნდობლობის გამოცხადების შემთხვევაში, მთავრობას უფლებამოსილება უწყდება. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო მთავრობას უნდობლობას ვერ გამოუცხადებს, საკითხის დასმა შემდგომი 6 თვის განმავლობაში დაუშვებელია.

მუხლი 7.

(17. 09. 2008 წ. N309; გაზეთი "აჭარა" 20. 09. 2008 წელი N105)

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ცალკეული წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შესაბამის ახალ წევრს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნიშნავს ორი კვირის ვადაში საქართველოს შესაბამისი სამთავრობო დაწესებულების (დაწესებულებების) ხელმძღვანელთან (ხელმძღვანელებთან) შეთანხმებით.

2. თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის შემადგენლობა ნახევარზე მეტით განახლდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მე-6 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განახლებულ შემადგენლობას.

თ ა ვ ი III
მთავრობის კომპეტენცია

მუხლი 8.

(17. 09. 2008 წ. N309; გაზეთი "აჭარა" 20. 09. 2008 წელი N105)

მთავრობა საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციებისა და კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში:

ა) კოორდინაციასა და კონტროლს უწევს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების საქმიანობას;

ბ) ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროების, საქვეუწყებო დაწესებულებების დებულებასა და სტრუქტურას;

გ) ამტკიცებს მთავრობის აპარატის დებულებას, სტრუქტურასა და საშტატო ნუსხას; *(30.06.2017 N56-უ.ს.რ.ს.)*

დ) ქმნის მთავრობის სათათბირო ორგანოებს და ამტკიცებს მათ დებულებებს;

ე) უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების სამართლებრივი აქტები;

ვ) შეიმუშავებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის პროექტს;

ზ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ უზრუნველყოფს მის შესრულებას და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს სამ თვეში ერთხელ წარუდგენს ბიუჯეტის შესრულების კვარტალურ ანგარიშს;

თ) ქმნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ამტკიცებს მათ დებულებებს, თანამდებობაზე ნიშნავს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელებს არაუმეტეს მთავრობის უფლებამოსილების ვადით; *(30.06.2017 N56-უ.ს.რ.ს.)*

ი) საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარადგენს კანონპროექტებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში;

კ) ხელს უწყობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამეწარმეო-ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლებას, კონკურენტუნარიანი და სტაბილური საინვესტიციო გარემოს ფორმირებას;

ლ) ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონების მართვას;

მ) უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განათლებისა და მეცნიერების სფეროში საქართველოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გატარებას, აგრეთვე კულტურისა და სამეცნიერო დაწესებულებების მართვას, ადგილობრივი მნიშვნელობის კულტურის ძეგლების, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმების მოვლა-პატრონობას;

ნ) მონაწილეობას ღებულობს ეკონომიკური, სოციალური, ჯანმრთელობის დაცვის საკითხების გადაწყვეტაში, უზრუნველყოფს მოქალაქეთა სოციალური დაცვის ღონისძიებების განხორციელებას;

ო) უზრუნველყოფს ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მოვლა-პატრონობისა და სხვა კომუნიკაციების განვითარების ხელშეწყობას;

პ) ხელს უწყობს ადგილობრივი მნიშვნელობის მშენებლობასა და ურბანულ განვითარებას;

ჟ) ქმნის სათანადო პირობებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ტურიზმისა და სპორტის განვითარებისათვის;

რ) უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობისა და სატყეო მეურნეობის მართვას, სურსათისა და სხვა საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე;

ს) უზრუნველყოფს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და რაციონალური გამოყენების, მოსახლეობის ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებას;

ტ) ახორციელებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საჭირო საარქივო სამსახურის მართვას;

უ) ახორციელებს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 9.

1. მთავრობის სამართლებრივი აქტებია დადგენილება და განკარგულება.

2. მთავრობის დადგენილება არის კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი, ხოლო განკარგულება ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი. მთავრობის ნორმატიული აქტის მომზადების, მიღება-გამოცემისა და ძალაში შესვლის წესი განისაზღვრება ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით. *(21. 03. 2007 წ. N242; გაზეთი "აჭარა", 29. 03. 2007 წ. N49)*

3. მთავრობის სამართლებრივი აქტების შესრულება სავალდებულოა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.

4. მთავრობის სამართლებრივ აქტებს ხელს აწერს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

მუხლი 10.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას უფლებამოსილება უწყდება:

ა) გადადგომისას;

ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისთანავე;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში;

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ სრული შემადგენლობის ორი მესამედის უმრავლესობით მთავრობისათვის უნდობლობის გამოცხადებისას;

ე) ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონით დადგენილ შემთხვევებში საქართველოს პრეზიდენტის მიერ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის გადაყენებისას;

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის "ა", ,,ბ" და ,,გ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მთავრობა ახორციელებს უფლებამოსილებას მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" და ,,ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მთავრობის უფლებამოსილებებს მთავრობის ახალი შემადგენლობის დამტკიცებამდე ახორციელებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დანიშნული სახელმწიფო რწმუნებული და მისი ადმინისტრაცია.

თ ა ვ ი IV
მთავრობის ხელმძღვანელობა

მუხლი 11.

(17. 09. 2008 წ. N309; გაზეთი "აჭარა" 20. 09. 2008 წელი N105)

1. მთავრობას ხელმძღვანელობს მთავრობის თავმჯდომარე.

2. მთავრობის თავმჯდომარე:

ა) არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირი და წარმოადგენს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას;

ბ) ხელმძღვანელობს მთავრობის საქმიანობას, საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრავს მთავრობის მუშაობის ძირითად მიმართულებებს;

გ) საქართველოს შესაბამის სამთავრობო დაწესებულების (დაწესებულებების) ხელმძღვანელთან (ხელმძღვანელებთან) შეთანხმებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს მთავრობის შემადგენლობას;

დ) უფლებამოსილია თანამდებობიდან გადააყენოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრი;

ე) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულებების, აგრეთვე შესაბამისი მინისტრის წარდგინებით სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელებს – არაუმეტეს მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადით და მათ მოადგილეებს არაუმეტეს საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელების უფლებამოსილების ვადით, საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელის მოადგილეებს კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს ხელმძღვანელის წარდგინებით – არაუმეტეს საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელების უფლებამოსილების ვადით; *(30.06.2017 N56-უ.ს.რ.ს.)*

ვ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სხვა თანამდებობის პირებს;

ზ) უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელთა სამართლებრივი აქტები;

თ) საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით განკარგავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონებას;

ი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტის შესახებ კანონის პროექტს;

კ) კონტროლს უწევს მინისტრების საქმიანობას;

ლ) პასუხისმგებელია მთავრობის საქმიანობაზე საქართველოს პრეზიდენტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წინაშე;

მ) ახორციელებს საკანონმდებლო ინიციატივას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში;

ნ) ხელს აწერს და აქვეყნებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონებს, გარდა კონსტიტუციისა და კონსტიტუციური კანონისა;

ო) კოორდინაციას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან მთავრობის ურთიერთობას;

პ) იწვევს და ხელმძღვანელობს მთავრობის სხდომებს, ხელს აწერს მთავრობის დადგენილებებსა და განკარგულებებს;

ჟ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტს _ ბრძანებას, ახორციელებს სრულ ადმინისტრაციულ ფუნქციებს მთავრობის შენობაში;

რ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით იღებს გადაწყვეტილებებს მთავრობის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შეფარდების შესახებ; *(30.06.2017 N56-უ.ს.რ.ს.)*

ს) ახორციელებს საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 12.

მთავრობის თავმჯდომარეს უფლება არა აქვს იმავდროულად იყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი, აგრეთვე ეკავოს რაიმე სხვა თანამდებობა საჯარო სამსახურში, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე საქმიანობიდან, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა.

მუხლი 13.

მთავრობის თავმჯდომარეს უფლებამოსილება უწყდება:

ა) გადადგომისას;

ბ) მთავრობის გადადგომისას;

გ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს პირველი შეკრებისთანავე;

დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ მთავრობისათვის სრული შემადგენლობის ორი მესამედით უნდობლობის გამოცხადებისას;

ე) საქართველოს პრეზიდენტის მიერ მთავრობის გადაყენებისას;

ვ) თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

ზ) თუ სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკაგულად ან გარდაცვლილად;

თ) კანონით შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების ან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელებისას;

ი) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას;

კ) გარდაცვალებისას.

მუხლი 14.

(17. 09. 2008 წ. N309; გაზეთი "აჭარა" 20. 09. 2008 წელი N105)

1. მთავრობის თავმჯდომარის არყოფნის დროს მის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი მინისტრი მთავრობის თავმჯდომარის დავალებით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს უფლება არა აქვს:

ა) თანამდებობიდან გადააყენოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრი და საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელი;

ბ) განკარგოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქონება.

3. ამ კანონის მე-13 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, გარდა ,,ბ" ,,გ" ,,დ" და ,,ე" ქვეპუნქტებით განსაზღვრული შემთხვევებისა, მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მთავრობის თავმჯდომარის მიერ წინასწარ განსაზღვრული ერთ-ერთი მინისტრი.

4. ამ კანონის მე-13 მუხლის ,,ბ" და ,,გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს გადამდგარი ან უფლებამოსილებაშეწყვეტილი მთავრობის თავმჯდომარე ახალი მთავრობის დამტკიცებამდე.

5. ამ კანონის მე-13 მუხლის ,,დ" და ,,ე" ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს საქართველოს პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

მუხლი 14[1] *(30.06.2017 N56-უ.ს.რ.ს.)*

1. ის პირები, რომლებიც ამ კანონის შესაბამისად დანიშნული არიან არაუმეტეს თანამდებობის პირის (ორგანოს) უფლებამოსილების ვადით/ან განსაზღვრული ვადით, თანამდებობის პირის (ორგანოს) უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში თავიანთ მოვალეობას ასრულებენ ახალი თანამდებობის პირის (ორგანოს) დანიშვნამდე (დამტკიცებამდე).

2. მთავრობის თავმჯდომარე/მთავრობა უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით, ან ხელმძღვანელის/კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს ხელმძღვანელის ინიციატივით გაათავისუფლოს თანამდებობიდან ამ კანონის თანახმად უფლებამოსილების ვადით/ან განსაზღვრული ვადით დანიშნული პირი.

მუხლი 15. ამოღებულია *(17. 09. 2008 წ. N309; გაზეთი "აჭარა" 20. 09. 2008 წელი N105)*

თ ა ვ ი V
მთავრობის საქმიანობის ორგანიზება

მუხლი 16.

1. მთავრობა თავის საქმიანობას წარმართავს მთავრობის სხდომების მეშვეობით.

2. მთავრობის სხდომა ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც.

3. მთავრობის სხდომას იწვევს, ხელმძღვანელობს და მის დღის წესრიგს განსაზღვრავს მთავრობის თავმჯდომარე ან მისი დავალებით ერთ-ერთი მინისტრი. *(17. 09. 2008 წ. N309; გაზეთი "აჭარა" 20. 09. 2008 წელი N105)*

4. მთავრობის სხდომაში მთავრობის თავმჯდომარე და მთავრობის წევრები მონაწილეობენ პირადად. თუ მთავრობის სხდომაზე მინისტრის დასწრება შეუძლებელია, იგი ამის შესახებ წინასწარ ატყობინებს მთავრობის თავმჯდომარეს. სხდომის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით მთავრობის სხდომაზე სათათბირო ხმის უფლებით შესაძლებელია სხვა პირების მოწვევაც.

5. მთავრობის სხდომა, როგორც წესი, დახურულია. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებით სხდომა შეიძლება გამოცხადდეს საჯაროდ.

6. მთავრობის მუშაობის, მთავრობის სხდომის მომზადების, წარმართვისა და სხდომაზე საკითხის განხილვის წესი განისაზღვრება მთავრობის რეგლამენტით, რომელსაც მთავრობის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს მთავრობა.

7. მთავრობის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება მთავრობის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. მთავრობა გადაწყვეტილებას იღებს სრული შემადგენლობის უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

8. მთავრობის სხდომის გადაწყვეტილება ფორმდება მთავრობის დადგენილებით ან განკარგულებით, რომელსაც ხელს აწერს მთავრობის თავმჯდომარე.

მუხლი 17.

1. მთავრობის საქმიანობის ორგანიზაციული, სამართლებრივი, ანალიტიკური, ინფორმაციული და სხვაგვარი საქმიანობის უზრუნველყოფის, აგრეთვე მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულებაზე კონტროლის მიზნით იქმნება მთავრობის აპარატი.

2. მთავრობის აპარატის საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს მთავრობის თავმჯდომარე.

3. მთავრობის აპარატის მიმდინარე საქმიანობას ხელმძღვანელობს აპარატის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის თავმჯდომარე – არაუმეტეს მთავრობის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადით. *(30.06.2017 N56-უ.ს.რ.ს.)*

4. მთავრობის აპარატის უფროსი:

ა) ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს აპარატის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობას;

ბ) მთავრობის თავმჯდომარეს თანამდებობაზე დასანიშნად წარუდგენს აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებსა და აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ სხვა საჯარო მოსამსახურეებს; *(30.06.2017 N56-უ.ს.რ.ს.)*

გ) მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს მთავრობის აპარატის საჯარო მოსამსახურეთა წახალისებისა და მათთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების შეფარდების შესახებ; *(30.06.2017 N56-უ.ს.რ.ს.)*

დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს აპარატის მოსამსახურეთა საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას;

ე) სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობს მთავრობის სხდომებში, ხელს აწერს მთავრობისა და მთავრობის თავმჯდომარის სამართლებრივი აქტების

პროექტებს, აგრეთვე აპარატის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას; *(21. 03. 2007 წ. N242; გაზეთი "აჭარა", 29. 03. 2007 წ. N49)*

ვ) სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობაში გამოდის მთავრობის აპარატის სახელით;

ზ) ასრულებს მთავრობის აპარატის დებულებითა და მთავრობის თავმჯდომარის მიერ მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 18 *(30.06.2017 N56-უ.ს.რ.ს.)*

მთავრობის აპარატის სტრუქტურა, უფლებამოსილება, საქმიანობის ორგანიზება და საშტატო ნუსხა ამ კანონის საფუძველზე განისაზღვრება მთავრობის სამართლებრივი აქტით.

თ ა ვ ი VI
მთავრობის სათათბირო ორგანოები

მუხლი 19.

1. მთავრობის თავმჯდომარეს, მთავრობას, მთავრობის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების შესწავლისა და მომზადების მიზნით შეუძლია შექმნას სათათბირო ორგანოები __ კომისიები და საბჭოები.

2. სათათბირო ორგანოს ამოცანებს, აგრეთვე მისი დასკვნებისა და წინადადებების მომზადების წესს ამ ორგანოს შექმნისას განსაზღვრავს შესაბამისად მთავრობის თავმჯდომარე, მთავრობა.

3. სათათბირო ორგანოს უფლება აქვს სახელმწიფო დაწესებულებებისაგან მიიღოს თავისი მუშაობისათვის საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა მონაცემები.

4. სათათბირო ორგანოს მიერ მომზადებული დასკვნები და წინადადებები განსაზღვრულ ვადაში უნდა წარედგინოს შესაბამისად მთავრობის თავმჯდომარეს, მთავრობას, მთავრობის წევრს.

5. სახელმწიფო მოსამსახურე, საჯარო მოსამსახურე ან პირი, რომელიც სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე არ არის, სათათბირო ორგანოს წევრად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მისი თანხმობით. *(30.06.2017 N56-უ.ს.რ.ს.)*

თ ა ვ ი VII
სამინისტრო

მუხლი 20.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო) იქმნება ამ კანონის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მმართველობის უზრუნველსაყოფად.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებია:

ა) ფინანსთა და ეკონომიკის;

ბ) ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის; *(17. 09. 2008 წ. N309; გაზეთი "აჭარა" 20. 09. 2008 წელი N105)*

გ) განათლების, კულტურისა და სპორტის;

დ) სოფლის მეურნეობის.

მუხლი 21.

1. სამინისტრო ანგარიშვალდებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და საქართველოს შესაბამისი სამთავრობო დაწესებულებების წინაშე და ასრულებს კანონით გათვალისწინებულ და მთავრობის თავმჯდომარის მიერ კანონის საფუძველზე დაკისრებულ ამოცანებს.

2. სამინისტროს აქვს დებულება, დასრულებული ბალანსი და ანგარიში ხაზინაში, ხარჯთაღრიცხვა, ბეჭედი მცირე სახელმწიფო გერბისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გერბის გამოსახულებით. *(17. 09. 2008 წ. N309; გაზეთი "აჭარა" 20. 09. 2008 წელი N105)*

3. სამინისტრო ეფუძნება ერთმმართველობის პრინციპს, თუ კანონით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

4. სამინისტრო თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციის, ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ" საქართველოს კონსტიტუციური კანონის, საქართველოს კანონების, საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტების, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის, ამ კანონისა და სხვა შესაბამისი სამართლებრივი აქტების საფუძველზე.

5. სამინისტრო ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან. იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ანგარიშვალდებულია საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივ გამოყენებაზე.

მუხლი 22.

1. სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საკითხები განისაზღვრება სამინისტროს დებულებით.

2. თუ საკითხი მიეკუთვნება რამდენიმე სამინისტროს გამგებლობის სფეროს და განსაზღვრული არ არის მასზე გადაწყვეტილების მიმღები სამინისტრო, გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა.

3. საკითხზე, რომელიც კანონის შესაბამისად შედის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების კომპეტენციაში, მაგრამ არ მიეკუთვნება არც ერთი სამინისტროს გამგებლობის სფეროს, გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა.

მუხლი 23.

1. სამინისტროს დებულებას შესაბამისი მინისტრის წარდგინებით ამტკიცებს მთავრობა.

2. სამინისტროს დებულება უნდა შეიცავდეს:

ა) სამინისტროს სრულ დასახელებას და იურიდიულ მისამართს;

ბ) სამინისტროს საქმიანობის სფეროს და ამოცანებს;

გ) სამინისტროს ხელმძღვანელობის ორგანიზებას, ხელმძღვანელთა უფლება-მოვალეობას;

დ) სამინისტროს სისტემას, სტრუქტურას, სტრუქტურული ქვედანაყოფების ძირითად ამოცანებსა და კომპეტენციას;

ე) სხვა არსებით საკითხებს სამინისტროს საქმიანობის ორგანიზების შესახებ.

მუხლი 24.

1. სამინისტროს ხელმძღვანელობს მინისტრი, რომლის კანდიდატურას საქართველოს შესაბამისი სამთავრობო დაწესებულების ხელმძღვანელთან შეთანხმებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს წარუდგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.

2. მინისტრი:

ა) ხელმძღვანელობს სამინისტროს, წარმართავს მის საქმიანობას და წყვეტს სამინისტროს გამგებლობის სფეროსათვის მიკუთვნებულ საკითხებს;

ბ) პასუხისმგებელია საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების შესრულებისათვის;

გ) თვალყურს ადევნებს სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ტერიტორიული ორგანოების მიერ თავიანთი მოვალეობების შესრულების მიმდინარეობას;

დ) ახორციელებს სამსახურებრივ ზედამხედველობას სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა გადაწყვეტილებებსა და საქმიანობაზე;

ე) კანონმდებლობით დადგენილი წესით, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სამინისტროსა და მისი ტერიტორიული ორგანოების საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოსამსახურეებს; *(30.06.2017 N56-უ.ს.რ.ს.)*

ვ) მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგენს წინადადებებს სამინისტროს წლიური ბიუჯეტის შემოსავლისა და გასავლის საკითხებზე და იღებს გადაწყვეტილებას საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი გამოყენების შესახებ;

ზ) მონაწილეობს მთავრობის სხდომებში;

თ) ასრულებს მისთვის საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით, მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით და სამინისტროს დებულებით დაკისრებულ სხვა ამოცანებს.

3. მინისტრს უფლება აქვს თავის კომპეტენციაში შემავალი ცალკეული საკითხების შესწავლისა და მომზადების მიზნით შექმნას სათათბირო ორგანოები – კომისიები და საბჭოები.

4. სათათბირო ორგანოს ამოცანებს, აგრეთვე მისი დასკვნებისა და წინადადებების მომზადების წესს ამ ორგანოს შექმნისას განსაზღვრავს მინისტრი თავისი კომპეტენციის ფარგლებში.

5. სათათბირო ორგანოს უფლება აქვს საჯარო დაწესებულებებისაგან მიიღოს თავისი მუშაობისათვის საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვა მონაცემები. *(30.06.2017 N56-უ.ს.რ.ს.)*

6. სათათბირო ორგანოს მიერ მომზადებული დასკვნები და წინადადებები განსაზღვრულ ვადაში უნდა წარედგინოს მინისტრს.

7. სახელმწიფო მოსამსახურე, საჯარო მოსამსახურე ან პირი, რომელიც სახელმწიფო მოსამსახურე ან საჯარო მოსამსახურე არ არის, სათათბირო ორგანოს წევრად შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ მისი თანხმობით. *(30.06.2017 N56-უ.ს.რ.ს.)*

8. მინისტრი პასუხისმგებელია სახელმწიფო ქონების დაცვისა და გამოყენებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 25.

1. მინისტრი საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობის, მათ შორის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებების საფუძველზე და მათ შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებს.

2. მინისტრის ბრძანება შეიძლება იყოს როგორც ნორმატიული, ისე ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი. მინისტრის ნორმატიული აქტის მომზადების, მიღება-გამოცემისა და ძალაში შესვლის წესი განისაზღვრება ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით. *(21. 03. 2007 წ. N242; გაზეთი "აჭარა", 29. 03. 2007 წ. N49)*

3. მინისტრი, რომელიც ხელს აწერს ბრძანებას, პასუხისმგებელია მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობისათვის.

4. მინისტრის ნორმატიული ხასიათის ბრძანება სავალდებულოა შესასრულებლად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, თუ ამ აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი.

5. თუ საკითხი ერთდროულად შედის რამდენიმე სამინისტროს გამგებლობის სფეროში, მათი შეთანხმებით შესაძლებელია ერთობლივი ბრძანების გამოცემა. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას ღებულობს მთავრობა.

მუხლი 26.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრს უფლება არა აქვს იმავდროულად იყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი, აგრეთვე ეკავოს რაიმე სხვა თანამდებობა საჯარო სამსახურში, ეწეოდეს სამეწარმეო საქმიანობას, იღებდეს ხელფასს ან სხვაგვარ მუდმივ ანაზღაურებას რაიმე საქმიანობიდან, გარდა სამეცნიერო, პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა.

მუხლი 27.

1. მინისტრს უფლებამოსილება უწყდება:

ა) გადადგომისას;

ბ) მთავრობის თავმჯდომარის მიერ თანამდებობიდან მისი გადაყენებისას;

გ) მთავრობის უფლებამოსილების შეწყვეტისას;

დ) თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი;

ე) სასამართლომ ცნო ქმედუუნაროდ, უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;

ვ) კანონით შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების ან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელებისას;

ზ) საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვისას;

თ) გარდაცვალებისას;

მუხლი 28.

1. მინისტრს შეიძლება ჰყავდეს მოადგილეები, მათ შორის, ერთი პირველი მოადგილე. მინისტრის მოადგილეს შესაბამისი მინისტრის წარდგინებით

თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მთავრობის თავმჯდომარე – არაუმეტეს მინისტრის უფლებამოსილების ვადით. *(30.06.2017 N56-უ.ს.რ.ს.)*

2. მინისტრის მოადგილე კოორდინაციას უწევს სამინისტროს ცალკეული დარგობრივი სტრუქტურული ერთეულის (ერთეულების) საქმიანობას, ახორციელებს და კონტროლს უწევს მინისტრის ბრძანებების, მითითებებისა და სხვა დავალებების შესრულებას.

3. მინისტრის პირველი მოადგილე მინისტრის არყოფნისას ან მინისტრის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობისას, აგრეთვე მინისტრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ასრულებს მინისტრის მოვალეობას.

4. მინისტრის გადადგომისას ან სხვა საფუძველზე მისი უფლებამოსილების შეწყვეტისას მინისტრის პირველ მოადგილესა და მოადგილეებს უფლებამოსილება უწყდებათ ახალი მინისტრის დანიშვნისთანავე. *(17. 09. 2008 წ. N309; გაზეთი "აჭარა" 20. 09. 2008 წელი N105)*

5. ამოღებულია. *(14. 09. 2004 წ. N85, საკანონმდებლო მაცნე, 17. 09. 2004 წ. N15)*

მუხლი 28[1]. *(14. 09. 2004 წ. N85, საკანონმდებლო მაცნე, 17. 09. 2004 წ. N15)*

1. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს შექმნის, გარდაქმნისა და საქმიანობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას ღებულობს მთავრობა.

2. სამინისტროს ტერიტორიული ორგანო წარმოადგენს ამ სამინისტროს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში.

3. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს დებულებასა და სტრუქტურას ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს მინისტრი. სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს დებულებაზე ვრცელდება ამ კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტით სამინისტროს დებულებისათვის განსაზღვრული მოთხოვნები ტერიტორიული ორგანოს თავისებურებათა გათვალისწინებით.

4. სამინისტროს ტერიტიორიული ორგანოს ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მინისტრი.

თ ა ვ ი VIII
საქვეუწყებო დაწესებულებები

მუხლი 29.

1. საქვეუწყებო დაწესებულება წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ან სამინისტროს გამგებლობაში არსებულ აღმასრულებელი ხელისუფლების დაწესებულებას.

2. საქვეუწყებო დაწესებულებებია:

ა) მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება;

ბ) სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება.

მუხლი 30.

1. საქვეუწყებო დაწესებულება იქმნება სოციალურ-ეკონომიკურ, კულტურულ ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გამგებლობას მიკუთვნებულ სხვა სფეროებში სახელმწიფოებრივი ამოცანებისა და საჯარო ფუნქციების განსახორციელებლად.

2. საქვეუწყებო დაწესებულება იქმნება, გარდაიქმნება და საქმიანობას წყვეტს ამ კანონის შესაბამისად, ან მთავრობის დადგენილებით.

3. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების დებულებასა და სტრუქტურას ამტკიცებს მთავრობა, ხოლო სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების დებულებასა და სტრუქტურას ამტკიცებს მთავრობა შესაბამისი მინისტრის წარდგინებით. საქვეუწყებო დაწესებულების დებულებაზე ვრცელდება ამ კანონის 23-ე მუხლის მე-2 პუნქტით სამინისტროს დებულებისათვის განსაზღვრული მოთხოვნები.

4. ამოღებულია *(22.08.2012 N 178 - უ.ს.რ.ს.)*

5. საქვეუწყებო დაწესებულება ფინანსდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან.

მუხლი 31.

1. საქვეუწყებო დაწესებულების ტერიტორიული ორგანოს შექმნის, გარდაქმნისა და საქმიანობის შეწყვეტის გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა.

2. საქვეუწყებო დაწესებულების ტერიტორიული ორგანო წარმოადგენს ამ დაწესებულებას შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში.

3. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების ტერიტორიული ორგანოს დებულებასა და სტრუქტურას ამტკიცებს მთავრობა, ხოლო სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების ტერიტორიული ორგანოს დებულებასა და სტრუქტურას ამ საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელის წარდგინებით ამტკიცებს შესაბამისი მინისტრი. *(27. 09. 2005 წ. N34; გაზეთი "აჭარა", 06. 10. 2005 წ. N189)*

4. მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელს მთავრობის თავმჯდომარის წინასწარი თანხმობით თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქვეუწყებო დაწესებულების უფროსი, ხოლო სამინისტროს საქვეუწყბო დაწესებულების ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელს საქვეუწყებო დაწესებულების უფროსის წარდგინებით _ შესაბამისი მინისტრი. *(14. 09. 2004 წ. N85, საკანონმდებლო მაცნე, 17. 09. 2004 წ. N15)*

თ ა ვ ი IX
სამსახურებრივი ზედამხედველობა

მუხლი 32.

1. სამსახურებრივი ზედამხედველობის მიზანია სამინისტროებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების საქმიანობის კანონიერების უზრუნველყოფა.

2. სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია:

ა) გასცეს წერილობითი მითითებები გამოცემულ აქტში ან შესრულებულ მოქმედებაში ნაკლოვანების აღმოფხვრის შესახებ;

ბ) შეაჩეროს აქტის აღსრულება ან მოქმედების შესრულება;

გ) ცნოს აქტი ძალადაკარგულად:

3. სამსახურებრივი ზედამხედველობის განხორციელებისას მთავრობის თავმჯდომარე, მინისტრები და საქვეუწყებო დაწესებულების ხელმძღვანელები გამოსცემენ ინდივიდუალურ-სამართლებრივ აქტებს.

4. სამსახურებრივი ზედამხედველობა ხორციელდება ქვემდებარეობის წესით.

5. სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია დაქვემდებარებული დაწესებულებებისაგან მოითხოვოს სამართლებრივი აქტები და სხვა დოკუმენტები, თანამდებობის პირებისაგან მიიღოს განმარტებები და დასკვნები. დაქვემდებარებული დაწესებულება ვალდებულია დოკუმენტები, განმარტებები და დასკვნები წარმოადგინოს არა უგვიანეს ორი სამუშაო დღისა, თუ სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელი პირის მიერ სხვა ვადა არ არის დადგენილი.

მუხლი 33.

1. მთავრობის თავმჯდომარე უფლებამოსილია გააუქმოს მინისტრების და საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელთა ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები მათი კანონიერების ან მიზანშეუწონლობის მოტივით.

2. მთავრობა უფლებამოსილია გააუქმოს მინისტრებისა და საქვეუწყებო დაწესებულებების ხელმძღვანელთა სამართლებრივი აქტები მათი კანონიერების ან მიზანშეუწონლობის მოტივით.

მუხლი 34.

1. მინისტრი ზედამხედველობს სამინისტროს ქვედანაყოფების, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საქვეუწყებო დაწესებულებებისა და ტერიტორიული ორგანოების საქმიანობის კანონიერებასა და მიზანშეწონილობას.

2. მინისტრს უფლება აქვს სამინისტროს თანამდებობის პირების მოქმედებაზე სამსახურებრივი ზედამხედველობა დააკისროს მის პირველ მოადგილეს.

3. სამსახურებრივი ზედამხედველობის განმახორციელებელ პირს უფლება აქვს გასცეს შესასრულებლად სავალდებულო მითითებები აქტის შეცვლის ან მოქმედებაში ნაკლოვანების აღმოფხვრის, ანდა ახალი მოქმედების შესრულების შესახებ.

მუხლი 35.

1. თანამდებობის პირის აქტი ან მოქმედება შეიძლება ცნობილ იქნეს ძალადაკარგულად მიზანშეუწონლობის მოტივით, თუ აქტი ან მოქმედება აშკარად არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს ან იწვევს სახელმწიფო ქონებისა და საბიუჯეტო სახსრების არარაციონალურ გამოყენებას, ან სხვა ხერხით ზიანს აყენებს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს. *(17. 09. 2008 წ. N309; გაზეთი "აჭარა" 20. 09. 2008 წელი N105)*

2. მიზანშეუწონლობის მოტივით აქტის ან მოქმედების ძალადაკარგულად ცნობა უნდა იყოს დასაბუთებული.

მუხლი 36.

1. სამართლებრივი დავა სამინისტროებსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა დაწესებულებებს შორის წყდება ქვემდებარეობის წესით, თუ კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული დავის გადაწყვეტის სხვა წესი.

2. სამართლებრივ დავას სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს შორის, აგრეთვე სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ საქვეუწყებო დაწესებულებებს შორის წყვეტს მინისტრი.

3. სამართლებრივ დავას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იმ დაწესებულებებს შორის, რომლებიც მმართველობის სხვადასხვა სფეროში შედის, წყვეტენ დაინტერესებული მინისტრები. თანხმობის მიუღწევლობის შემთხვევაში გადაწყვეტილებას იღებს მთავრობა.

თ ა ვ ი X
გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

მუხლი 37.

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 1998 წლის 17 მარტის ორგანული კანონი.

2. ამ კანონის ამოქმედების მომენტიდან ლიკვიდირებულად ჩაითვალოს ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შესახებ'' აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ორგანულ კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2004 წლის 18 მაისის ორგანული კანონის 26-ე მუხლის საფუძველზე ლიკვიდაციას დაქვემდებარებული სამთავრობო დაწესებულებები.

3. ამ კანონის ძალაში შესვლიდან 2 თვის ვადაში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებმა უზრუნველყონ ამ კანონთან მის ძალაში შესვლამდე მოქმედი აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმატიული აქტების შესაბამისობაში მოყვანა.

4. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ, ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, კანონის ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში უმაღლეს საბჭოს წარუდგინოს შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების პროექტები.

მუხლი 38.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე *ლევან ვარშალომიძე*

ქ. ბათუმი
2004 წლის 29 ივლისი
N017/16 უ.ს.რ.ს